

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.10.19 წლის #084/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ლალი ჟორჟოლიანი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და შეთანხმებისამებრ, კლიენტმა ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 1500 აშშ დოლარის ოდენობით. ხოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, საჩივრის ავტორი, დამატებით გადაუხდოდა იმ თანხის ნახევარს, რომლის გადახდისგანაც იგი გათავისუფლდებოდა. ადვოკატი დაპირდა მას, რომ შეაჩერებდა აღსრულების პროცესს იპოევით დატვირთულ ქონებაზე, ადვოკატმა შეაჩერა აღსრულების პროცესი, თუმცა მოგვიანებით იპოთეკარისგან შეიტყო, რომ ადვოკატმა პროცესი მორიგებით დაამთავრა, მორიგების შინაარსი კი ეწინააღმდეგებოდა მის ნებას და მორიგება დადო მასთან შეუთანხმებლად. რასაც ადვოკატი უარყოფს, მისი თქმით მორიგების პირობები შეთანხმებული იყოს საჩივრის ავტორთან, საქმის დასრულების შემდეგ მათ შორის მიღება ჩაბარების აქტივ გაფორმდა, რის თანახმადაც საჩივრის ავტორმა აიღო მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება (3800 აშშ დოლარი), რომელიც კლიენტმა არ შეასრულა შესაბამისად, ადვოკატმა კლიენტს ბინა დაუყადადა. საჩივრი ავტორის თქმით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა განხორციელდა ადვოკატის ზეწოლით. ადვოკატმა მას 5 დღის ვადა მისცა, რათა თანხა გადაეხადა, ის იძულებული გახდა ბანკიდან სესხი გამოეტანა, რადგან მისი ბინა ადვოკატის მიერ დაყადადებული იყო. ადვოკატის თქმით იმის შემდეგ, რაც საჩივრის ავტორმა დაფარა კომპანიის წინაშე აღებული ფულადი ვალდებულება, კომპანიამ უარი თქვა სარჩელზე და საქმის წარმოება შეწყდა. საჩივრის ავტორის თქმით ადვოკატმა მისი პროფესიული ვალდებულება კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად არ შეასრულა, ის კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. მას არ ეკუთვნის ჰონორარი 3800 აშშ დოლარი. ადვოკატს მისთვის არ გადაუცია არც გადაწყვეტილება და არც დოკუმენტაცია, ამ ეტაპზე კი, ის იმყოფება დოკუმენტაციის მოძიების პროცესში.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მიმართა საჩივრით და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადაცემული მომსახურების ჰონორარის დაბრუნება.

სამართლებრივი შეფასება

დაარღვია თუ არა ადვოკატმა საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება?

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე: ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 5(ა)).

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კანონის მუხლი

¹ <https://gba.ge/pdf/620e2b3c49738.pdf/084.19,%20ar%20aghdzvra,%2003.10.19.pdf>

8.5). ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ(ეთიკის კოდექსის მუხლი 8.6). ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად. ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის გაფორმდა იურიდიული და წარმომადგენლობითი ხელშეკრულება, დამკვეთის ინტერესს წარმოადგენდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში არ ჩანიშნულიყო აუქციონი იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით და მაქსიმალურად შემცირებულიყო იპოთეკარისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა. ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებები მიმართული იყო საქმის წარმატებით დასრულებისკენ, სასამართლოში მიმდინარე საქმე შეწყდა მორიგებით და აღსრულებაც იქნა შეჩერებული 1 წლის ვადით. ის, რომ კლიენტიც კმაყოფილი იყო მიუთითებს მათ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. მხარეთა ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, მათ შორის მუდმივად იყო სატელეფონო კომუნიკაცია, ასევე ისინი პირადად საუბრობდნენ ადვოკატის ოფისში და კლიენტიც მუდმივად კითხულობდა საქმის დეტალებს და ფლობდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე. შესაბამისად, ადვოკატს არ დაურღვევია საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება?

კოლეგიამ იმსჯელა ჰონორართან დაკავშირებითაც და ვერ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ეთიკური გადაცდომა. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში(ეთიკის კოდექსის მუხლი 8.15). მხარეებს შორის გაფორმდა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით „შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით დამკვეთს შემსრულებელთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.“ ასევე განსაზღვრულია ჰონორარის ოდენობა და ის რომ მხარეები აღნიშნულზე თანახმა არიან დასტურდება ხელმოწერით. ის ფაქტი, რომ კლიენტის მიერ ხელმოწერა განხორციელდა ადვოკატის მიერ ზეწოლით, კოლეგია ვერ გაითვალისწინებს, რადგან არ არის ამ პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი. ადვოკატის მიერ კუთვნილი ჰონორარის კანონიერი საშუალებით მოთხოვნა-სასამართლოსთვის მიმართვა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური დანაწესი.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან ადვოკატს არ დაურღვევია საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება და ჰონორარის ნაწილშიც ვერ დაადგინა მის მხრიდან ეთიკური გადაცდომა.